ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1004516

ნომერი: AR1169567

თარიღი : 17.10.2013

გაცემის თარიღი : 19.11.2013

გაცნობის თარიღი : 20.11.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მირიან მეფის გამზირი , N 11 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მერაბ ჯანელიძე პ/ნ 01024011208
- თბილისი გ.რჩეულიშვილის ქ. კორ. 5 ბ. 6

ორგანიზაცია:
- იბა "დიდი დიღომი 2005" კოდი: 205212759

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 02.10.2013წ. #927402 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2013 წლის 17 ოქტომბრის #AR1169567 განცხადებით მომართა მერაბ ჯანელიძემ და მოითხოვა სამსახურის 02.10.2013წ. #927402 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანა.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 2013 წლის 02 ოქტომბრის #927402 ბრძანებით ქ. თბილისში, მირიან მეფის გამზირი #11–ში, იბა „დიდი დიღომი 2005“–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მშენებარე მრავალფუნქციური შენობის „ა“ ბლოკის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. განმცხადებლის ინფორმაციით, იცვლება ობიექტის ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები, კერძოდ: საცხოვრებელი, საზაფხულო და კომერციული ფართობი.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში მითითებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლებში, კომერციული ფართობი არის 1916.39 კვ.მ, ხოლო საცხოვრებელი ფართობი – 12392.6 კვ.მ. 2013 წლის 16 ოქტომბრის ი.ბ.ა „დიდი დიღომი 2005“–ის დამფუძნებელთა საერთო კრების გადაწყვეტილებით, შეთანხმებული პროექტით გათვალისწინებულ ზოგიერთ საოფისე ფართობს შეეცვალა დანიშნულება და გახდა საცხოვრებელი. შესაბამისად, შეიცვალა საცხოვრებელი (12722.18 კვ.მ) და საოფისე (1586.81 კვ.მ) ფართობების ციფრობრივი მაჩვენებლები. რაც შეეხება საზაფხულო ფართობს, განმცხადებლის მიერ საპროექტო დოკუმენტაციაში, არასწორად იქნა მითითებული მისი ციფრობრივი მაჩვენებელი, რაც შესაბამისად, აისახა სამსახურის მიერ გამოცემული ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში. აღნიშნული ცვლილება არ ეხება შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის გეგმა–ნახაზების გრაფიკულ ნაწილს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1.დაკმაყოფილდეს მერაბ ჯანელიძის 2013 წლის 17 ოქტომბრის #AR1169567 განცხადება;
2.შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 02.10.2013წ. #927402 ბრძანებაში. კერძოდ, ბრძანების ტექნიკურ – ეკონომიკური მაჩვენებლებში საერთო ფართობი, საცხოვრებელი, კომერციული და საზაფხულო ფართობები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

- საერთო ფართობი: 17903.75 კვ.მ
- საცხოვრებელი ფართობი: 12722.18 კვ.მ
- კომერციული (საოფისე) ფართობი: 1586.81 კვ.მ
- საზაფხულო ფართობი: 1939.84 კვ.მ

3.ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 02.10.2013წ. #927402 ბრძანება სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელი;
4.წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 02.10.2013წ. #927402 ბრძანებასთან ერთად;
5.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის. შარტავას ქ. N7) მისი ოფიციალური წესით

გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.